## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №348

საქართველოს მთავრობის 2015 წლის12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 12 ნოემბერი 2015 წელი

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა** („შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი **მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ თოფჩიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ სეისმო სერვისი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) **წარმოდგენილი მისი დირექტორის დავიტ კოტარიას სახით.**

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *„სოფლის განვითარებისv სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ მარნეულის მუნიციპალიტეტის ს/ პირველ ქესალოს სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა* (**CPV - 452 47000** *– დამბების, არხების, სარწყავი არხებისა და აკვადუკების/ღარხიდების მშენებლობა)* გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს *31 845,40 (ოცდათერთმეტი ათას რვაასორმოცდახუთი და 40 თეთრი ) ლარს, აქედან (სახ. ბიუჯ 25 282 ლარი (79,39%), ხოლო ადგ. ბიუჯეტი 6563,40 ლარი (20,61%), .* საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულება შეადგენს:*თანახმად ხარჯთაღრიცხვისა*

4.3. სამუშაო შესრულებული იქნება შემდეგ მისამართზე: *სოფელი პირველი ქესალო.*

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2015 წლის 11 დეკემბრამდე შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაო. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და დროულობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5.მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

### 6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების პროცესს განახორციელებს მიმღები კომისია.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს **მიმღები კომისია,** ხოლო *ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მთ. სპეცილისტები ბექა აბდელანი და ქონების მართვის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე ტახირ რუსტამოვი.*

## 8. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8.2 შესასრულებელი სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების მინიმალური საგარანტიო ვადაა – 3 (სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, **ხოლო სარწყავი წყლის ტუმბოს გარანტიის ვადა მინიმუმ 6 თვე.**

## 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 საბოლოო ანარიშსწორება მოხდება სათანადო ექსპერტიზის დასკვნის გაცემისა და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორებამ შესაძლებელია იწარმოოს ეტაპობრივად შესაბამისი შუალედური სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტის – ფორმა №2-სა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება <u>უნაღდო</u>. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასრულებელი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები .

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 იანვრამდე.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

რეკვიზიტები:

| შემსყიდველი ორგანიზაცია: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა | შ.პ.ს „სეისმო სერვისი" |
| მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73 | მის: თბილისი , მ. ლებანიძის ქ #6 |
| ს/კ 234232149 | ს/კ 202 293 829 |
| ა/ა GE54LB0120166049432006; | ს/ს „საქრთველოს ბანკი " |
| ბანკის კოდი LBRTGE22; | ა/ა GE 78 BG 0000 0001 1962 9700 |
| ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი | ბანკის კოდი BAGAGE 22 |

გამგებლი:

--------------- მ. თოფჩიშვილი

შ.პ.ს „სეისმო სერვისი" – დირექტორი

------------------------------ დ.კოტარია

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

(ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №348 –ის დანართად)

ქ. მარნეული 12 ნოემბერი 2015 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან შ.პ.ს „სეისმო სერვისი" - სთან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: /მ. თოფჩიშვილი/

გამგებლის მოადგილე: /ზ.ტაბატაძე/

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: / ვ.მამედოვი/

ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: /ლ. ფანგანი/

ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების მთ. სპეციალისტები: /ზ.აბდელანი/

მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების უფროსი: /ზ.კვანჭიანი/

მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი: /თ. ნადირაძე/

ქონების მართვის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე : /ტ. რუსტამოვი/

# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№506 2015 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი, დანართის შესაბამისად.

2. განკარგულების დანართით გათვალისწინებულმა ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა უზრუნველყონ გამოყოფილი თანხების წარმართვა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

# შ.პ.ს "ინსტიტუტი მეტალურგპროექტი"

ლიცენზია № 3399

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ
პირველი ქესალოს სარწყავი წყლის
ჭაბურღილის მოწყობა

## ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

საფუძველი: სამშენებლო პროექტი №2015-26

**სახარჯთაღრიცხვო ღირებულება** 32627,40 ლარი

დირექტორი ზ. მაისაშვილი

რუსთავი
2015 წელი

## ლოკალური ხარჯთაღრიცხვა
## მარნეულის მუნიციპალიტეტი
## სოფელ პირველი ქესალოს სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: 32 627, 40 ლარი

შედგენილია 2015 წ. საბაზრო ფასების დონეზე საფუძველი–ს.დ.პ. №2015–26

| № | საფუძველი | სამუშაოების,რესურსების დასახელება | განზ.ერთ. | ნორმატიული რესურსი | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა–მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | საბაზრო | ჭაბურღილის ბურღვა სვეტური მეთოდით, მე–3–მე–7 კატეგორიის გრუნტებში | გ.მ. | | 100,0 | | | 30,80 | 3080,0 | | | 3080,0 |
| 2 | ___”___ | საბურღი მოწყობილობის კომპლექტი | მ.სთ. | 1,25 | 112,5 | | | | | 16,0 | 1800,0 | 1800,0 |
| 3 | ___”___ | საბურღი მილი | გ.მ | 0,02 | 2,0 | 200,0 | 400,0 | | | | | 400.0 |
| 4 | ___”___ | საბურღი მილის ჩაშვება ჭაბურღილში | გ.მ. | 1,0 | 100,0 | – | – | 4,0 | 400,0 | 0,2 | 20,0 | 420,0 |
| 5 | ___”___ | სატეხი საღარავი 215 მმ | ც. | 1 | 1 | 2840,0 | 2840,0 | | | | | 2840,0 |
| 6 | ___”___ | პოლიეთილენის გარსაცმი მილის d=160მმ, ჩაშვება ჭაბურღილში | გ.მ. | 1,0 | 100,0 | 30;0 | 3000,0 | 1,25 | 125,0 | 1,25 | 125,0 | 3250,0 |
| 7 | ___”___ | პოლიეთილენის დამწნეხი მილის d=63 მმ. ჩაშვება ჭაბურღილში | ც | 1 | 26,0 | 85,0 | 2210,0 | 7,70 | 200,0 | 4,30 | 112,0 | 2522,0 |
| 8 | ___”___ | 2 ½ დ გამომავალი კომპლექტი | ც | 1 | 1 | 250,0 | 250,0 | | | | | 250,0 |
| 9 | ___”___ | ხრეშოვანი ფილტრის მოწყობა | $მ^3$ | 0,01 | 1,0 | | | 45,0 | 45,0 | | | 45,0 |
| 11 | ___”___ | ხრეში | $მ^3$ | 0,01 | 1,0 | 13,0 | 13,0 | | | | | 13,0 |

| საფუძველი | სამუშაოების,რესურსების დასახელება | განზ.ერთ | ნორმატიული რესურსი | | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი-მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| საბაზრო | საბურღი მოწყობილობის კომპლექტი | მ.სთ. | 0,08 | 8,0 | – | – | – | – | 30,0 | 240,0 | 240,0 |
| ——”—— | წყალი | მ³ | – | 2,2 | 3,60 | 7,9 | – | – | – | – | 7,9 |
| საბაზრო | ჭაბურღილის ტუმბოს მოწყობა წარმადობით Q=5ლ/წმ. (18 მ³/სთ) H=135 მ, ნომინალური სიმძლავრე 7,5 კვტ. 4SR15/24-P | ც | 1,0 | 1,0 | 3625,0 | 3625,0 | 100,0 | 100,0 | 90,0 | 90,0 | 3815,0 |
| საბაზრო | 12,5 HP მართვის კარადის მოწყობა | კომპლ. | 1,0 | 1,0 | 850,0 | 850,0 | 300,0 | 300,0 | – | – | 1150,0 |
| კრებული 8-368(2) | სამფაზიანი კაბელის მოწყობა 3x6.0 მმ² | გ.მ. | – | 100,0 | 5,50 | 550,0 | 1,7 | 170,0 | – | – | 720,0 |
| | ელ.კაბელის მოწყობა 3x1.5 მმ² | გ.მ. | – | 100,0 | 2,0 | 200,0 | 1,7 | 170,0 | – | – | 370,0 |
| 1-82(1) | მე–3, მე–4 კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, | მ³ | | 9,0 | – | – | 20,0 | 180,0 | – | – | 180,0 |
| 1-83(3) | ზედმეტი გრუნტის მოსწორება ადგილზე | მ³ | | 3,0 | – | – | 10,0 | 30,0 | – | – | 30.0 |
| საბაზრო | სანიტარული ღობის სამაგრი ლითონის ბოძების ჩაბეტონება (ჩაღრმავება= 0,5 მ, H=1.5მ) | ც | 1 | 9,0 | – | – | 10,0 | 90,0 | – | – | 90,0 |
| საბაზრო | ლითონის ბადის სანიტარული ღობის მოწყობა კუტიკარით, 4x4x1.5 (ქარხნული) | მ² | 1 | 24 | 28,0 | 672,0 | 6,0 | 144,0 | | | 816,0 |

| № | საფუძველი | სამუშაოების,რესურსების დასახელება | განზ.ერთ. | ნორმატიული რესურსი | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა–მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 22 | საბაზრო | ბეტონი, მ100 | $მ^3$ | 1 | 0,5 | 210,0 | 105,0 | – | – | – | – | 105,0 |
| 23 | ___"___ | Ф40მმ ლითონის მილი | მ | 1 | 18,0 | 5,30 | 95,40 | – | – | – | – | 95,40 |
| | | ჯამი | | | | | 14818,30 | – | 5034,0 | | 2387,0 | 22239,30 |
| | | სატრანსპორტო ხარჯები 3% | | | | | | | | | | 444,55 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 22683, 85 |
| | | ზედნადები ხარჯები 8% | | | | | | | | | | 1814,70 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 24498,55 |
| | | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | | | | | | 1959,90 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 26458,45 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები 2% | | | | | | | | | | 529,20 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 26987,60 |
| | | დღგ. 18% | | | | | | | | | | 4857,80 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 31845,40 |
| | | საპროექტო სამუშაო | | | | | | | | | | 782,0 |
| | | სულ | | | | | | | | | | 32627,40 |

შეადგინა და გაიანგარიშა ზ.მაისაშვილი